ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 21

2018 წ. „17“ 05

ქ. თბილისი

„შპს „მახინჯაურის ლიცეუმის“ ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის №12 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

ცვლილება განხორციელდეს „შპს „მახინჯაურის ლიცეუმის“ ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის №12 გადაწყვეტილებაში და შპს „მახინჯაურის ლიცეუმს“ (ს/კ248417896) პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 320 - ით, პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე ზღვრული რაოდენობები გადანაწილდეს შემდეგნაირად:

	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	გემბანის მეზღვაური	მესამე	გემბანის რიგითი მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 111051	60	ქართული	140	ბათუმი, მახინჯაური, თამარ მეფის გამზირი 38
2	სამანქანე განყოფილების მეზღვაური	მესამე	სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 111052	60	ქართული	130	ბათუმი, მახინჯაური, თამარ მეფის გამზირი 38
3	გემის ელექტრიკოსი	მესამე	ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040557	60	ქართული	50	ბათუმი, მახინჯაური, თამარ მეფის გამზირი 38

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 17 მაისის № 6 სხდომის ოქმის მეოთხე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე

მდივანი